

„შინმოვლის სპეციალისტი - ექთანი“ პროფესიული გადამზადების პროგრამისათვის განსაზღვრული მინიმალური სარეკომენდაციო მოთხოვნები

წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია „საქართველოს კარიტასის“, ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული ტრენინგ ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის ჩართულობით, რათა დასაქმების მნიშვნელოვან, შინმოვლის სფეროში, რომელსაც აქვს პირდაპირი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, უზრუნველყოს სწავლების სათანადო ხარისხი.

დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა. ნებისმიერი განსხვავებული მიდგომა უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული.

პროგრამის რეკომენდებული სახელწოდება: „შინმოვლის სპეციალისტი - ექთანი“.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 5.

პროგრამის მოცულობა: არანაკლებ 180 საათისა.

დაშვების წინაპირობა: ექთნის კვალიფიკაცია.

პროგრამის მიზნები:

გადაამზადოს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზრუნვის სისტემისთვის საჭირო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარის მქონე შინმოვლაზე პასუხისმგებელი ექთნები, რომლებიც შეძლებენ ბინაზე და სხვადასხვა ინსტიტუციებში (ხანდაზმულთა მოვლის სახლი, სხვადასხვა ტიპის თავშესაფარი, სათემო ორგანიზაციები, საცხოვრისები) ადექვატური სამედიცინო და ფსიქო-სოციალური მომსახურების მიწოდებას. ამ გზით გააუმჯობესებენ ბენეფიციართა ჯანმრთელობის და ყოფით პირობებს და უზრუნველყოფენ დამკვეთის მხრიდან სერტიფიცირებული სპეციალისტის მიმართ ნდობის ამაღლებას.

მინიმალური სწავლის შედეგები, შესაბამისი სარეკომენდაციო თემატიკა და სარეკომენდაციო საათობრივი დატვირთვა:

1. შინმოვლის საჭიროების განსაზღვრა (30 სთ)

- პროფესიული მოვლის თეორიები, მოდელები და კონცეფციები;
- სამართლებრივი აქტები ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ (საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ; საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ; ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ; ბავშვთა დაცვის შესახებ და სხვა);
- მოვლის დიაგნოზები;
- მოვლის სტანდარტები;

- შინმოვლის კონცეფცია;
- შინმოვლის მომსახურების მიმწოდებლები;
- კომუნკაცია შინმოვლაში;
- დეტალური დაკვირვება;
- დამოკიდებულების ხარისხის - უძღურების განსაზღვრა სხვადასხვა ინსტრუმენტის საშუალებით - ბართელის უძღურების შკალა, ADL და IADL ტესტები;
- სუბიექტური და ობიექტური მონაცემების შეგროვება.

2. ბენეფიციარის საექთნო მართვისა და მოვლის დაგეგმვა (15 სთ)

- დაგეგმვის პრინციპები
- მოვლის სამოქმედო გეგმის შედგენა ექვსსაფეხურიანი მოდელის მიხედვით;
- ინდივიდუალური მოვლისა და მართვის გეგმის დოკუმენტაცია.

3. ბენეფიციარის საექთნო მართვა შინმოვლის თავისებურების გათვალისწინებით (15 სთ)

- ინფექციის კონტროლის მექანიზმები ბინის პირობებში;
- საექთნო მართვის სტანდარტული პროტოკოლები (სამედიცინო მანიპულაციების და პროცედურების შესრულების თავისებურება ბინის პირობებში).

4. ბენეფიციარის საექთნო მოვლა შინმოვლის თავისებურების გათვალისწინებით (90 სთ)

- უსაფრთხოებისა და პირადი ჰიგიენის ნორმები;
- მოვლითი ღონისძიებების მნიშვნელობა ყოველდღიური აქტივობების მიხედვით;
- წოლითი პოზიციები;
- ბენეფიციარის რეპოზიცირება (მომრავა საწოლში, დაგაჯდომა ეტლში/სკამზე და პირიქით);
- კომფორტი და პრივატულობა;
- სხეულის მოვლა - (ჰიგიენური პროცედურები, დაბანა, ჩაცმა);
- საკვების და სითხის მიღება;
- დახმარება გამოყოფის დროს;
- სხვადასხვა მდგომარეობების/ დაავადებების დროს მოვლის და მართვის თავისებურებები;
- სარეაბილიტაციო მოვლა აქტიური/პასიური ვარჯიშები.

5. ბენეფიციარისთვის ადექვატური/უსაფრთხო გარემოს შექმნა (15 სთ)

- მოვლის უსაფრთხო ადექვატური გარემოს შექმნა საცხოვრებელი პირობების გათვალისწინებით (ბინის მოწყობა, ადაპტირება);
- დამოუკიდებლობის შენარჩუნება;

- მოვლის ტექნიკური დამხმარე საშუალებების შერჩევა, მორგება, გამოყენება.

6. ბენეფიციარის, მისი გარემოცვის წევრებისთვის სწავლება და კონსულტირება (15 სთ)

- რისკების შეფასება;
- გართულებების და გამწვავებების თავიდან აცილების სწავლება/კონსულტირება (ნაწოლი, ყაბზობა, პნევმონია, კონტარქტურა, თრომბოზი, სოკოვანი დაავადება, ინტერტრიგო, დაცემა, ცისტითი, დეპრესია, სტრესი, გონების არევა);
- რეფერალი, მნიშვნელობა დროული რეაგირება.